

ტერმინთა ორთოგრაფიული ლექსიკონისათვის

სალიტერატურო ენის სრულყოფა და განვითარება დაკავშირებულია მის ნორმალიზაციასთან. ენათმეცნიერთა კვლევის ძირითადი საგანი ყოველთვის იყო და დღესაც არის ორთოგრაფიულ საკითხთა მოწესრიგება. ძირითადად ყველა სამეცნიერო ნაშრომს, თეორიულ კვლევასთან ერთად, ყოველთვის აქვს პრაქტიკული დანიშნულებაც. ენათმეცნიერთა შრომის ყოველი შედეგი მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია მართლწერის საკითხთა კვლევისას. ენის ნორმალიზაცია ენათმეცნიერების ყოველი დარგის სინთეზური მუშაობის შედეგია, რაც ლექსიკოგრაფიულ საქმიანობაში სრულად აისახება. ლექსიკონების შედგენა საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით კი – სამეცნიერო დარგის სპეციალისტებისათვის, არის მნიშვნელოვანი. ენა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, მორფოლოგიურ-ორთოგრაფიულ წესებს უნდა დაექვემდებაროს, სხვა შემთხვევაში, ვერცერთი ენა ვერ შეასრულებს თავის ძირითად, საკომუნიკაციო ფუნქციას.

ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი რამდენჯერმე გამოიცა და, ბუნებრივია, ყოველი გამოცემა ითვალისწინებს ენაში მიმდინარე ცვლილებებს. ის ეფუძნება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს, რომელიც, თავის მხრივ, აღნუსხავს ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკურ ერთეულებს. ამავე დროს მასში წარმოდგენილია ტერმინოლოგიური ლექსიკაც. ამდენად, ორთოგრაფიულ ლექსიკონში ითვალისწინებენ ცალკეულ ტერმინთა მართლწერასაც, მაგრამ, ბუნებრივია, მთელი სისრულით შეუძლებელია აღინუსხოს ტერმინთა სისტემა, რომლის ნორმალიზაცია, რა თქმა უნდა, მისდევს ენის საერთო წესებს, მაგრამ, ამასთან, სპეციალურ ყალიბებსაც ქმნის. სამწუხაროდ, ჯერ ვერ მოხერხდა ტერმინთა ორთოგრაფიული ლექსიკონის შედგენა, რომელიც მოაწესრიგებდა ტერმინთა მართლწერასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ პრობლემებს.

ტერმინოლოგიურ საკითხებს, კერძოდ კი – ტერმინთა ორთოგრაფიას, ეძღვნება მრავალი ნაშრომი, რომლებიც დიდად დაეხმარება ლექსიკონის შემდგენლებს. არაერთი ნორმა დაზუსტებუ-

ლი, მაგრამ, ბუნებრივია, მთელი რიგი საკითხებისა დღესაც სადა-
ვოა და მოითხოვს შემდგომ კვლევას.

ტექნიკური ტერმინოლოგიის მასალაზე მუშაობისას აშკარად
გამოიკვეთა ის ორთოგრაფიული დარღვევები, რომლებიც მწვავედ
დგას სპეციალისტების წინაშე. სწორედ ამან განაპირობა ორთოგრა-
ფიული ლექსიკონის შექმნის აუცილებლობა, რაც, ბუნებრივია, სირ-
თულებთან არის დაკავშირებული.

ტერმინთა ორთოგრაფიულ ლექსიკონში თავს მოიყრის ტექ-
ნიკის, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული დარგების არაერთი
ტერმინი დღემდე გამოცემული ტერმინოლოგიური ლექსიკონებისა
თუ სამეცნიერო ლიტერატურაში მოძიებული მასალის გათვალის-
წინებით.

სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში არსებობს სხვა-
დასხვა დარგის ტერმინთა მდიდარი ფონდი, რომლის ნაწილი არც კი
გამოქვეყნებულა, ამდენად, ორთოგრაფიული ლექსიკონისთვის საჭი-
რო და მნიშვნელოვანი იქნება ამ მასალის გათვალისწინებაც. განსა-
კუთრებით საყურადღებოა მრავალდარგოვანი ტექნიკური ტერმინო-
ლოგია, რომლის მასალა, მართალია, ნორმირებულია, მაგრამ მაინც
არაერთი ტერმინის დაწერილობას გადახედვა ესაჭიროება.

ცნობილია, რომ ტერმინოლოგიური ლექსიკა ერთფეროვანი
არ არის. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ნასესხები სიტყვებია. სესხება
ყველა ენისათვის და, მათ შორის, ქართულისთვისაც ბუნებრივი
პროცესია.

უცხო სიტყვათა ადაპტაციის საკითხები ერთ-ერთი მნიშვნე-
ლოვანი საკვლევი უბანია. ქართველმა ენათმეცნიერებმა მრავალი
ნაშრომი მიუძღვნეს სესხება-ადაპტაციის პრობლემებს, მაგრამ ჯერ
კიდევ არსებობს საკითხები, რომლებიც შემდგომ კვლევას მოი-
თხოვს. ლექსიკონში კიდევ ერთხელ შეჯერდება და დაზუსტდება
უცხო ტერმინთა მართლწერის საკითხები.

ლექსიკონი, რა თქმა უნდა, გაითვალისწინებს ქართული ენის
ორთოგრაფიული ლექსიკონის შედგენის პრინციპებს და ამავდროუ-
ლად ყურადღებას მიაქცევს იმ თავისებურებებს, რომლებიც ტერ-
მინთა ორთოგრაფიული ლექსიკონისთვის იქნება მნიშვნელოვანი
და პრიორიტეტული.

ტერმინთა ორთოგრაფიულ ლექსიკონში სალექსიკონო ერთე-
ულად წარმოდგენილი იქნება მხოლოდ არსებითი, ზედსართავი

და ნაზმნარი სახელები, რადგან ცნებათა აღსანიშნავად ტერმინოლოგიურ სისტემაში ძირითადად გამოიყენება სახელები და სახელ-ზმნა. რაც შეეხება ზმნებს, მკვლევართა უმრავლესობა ზმნას ტერმინად არ მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ ცნებათა რთულ სისტემაში პროცესების აღმნიშვნელი კატეგორია, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა. პროცესების აღსანიშნავად ტერმინოლოგიურ სისტემაში ზმნების ნაცვლად ნაზმნარი, ანუ მოქმედების სახელებია გამოყენებული [დამბაშიძე 1986: 72].

როგორც აღინიშნა, ტერმინთა ორთოგრაფიულ ლექსიკონში ტერმინები წარმოდგენილი იქნება ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის მსგავსად – სალექსიკონო ერთეულად სწორი ფორმა იქნება მოცემული, ხოლო არამართებული ფორმები მიეთითება ფრჩხილებში. მაგალითად, **სინთეტიკური** (და არა **სინთეტური**), **გენეზისური** (და არა **გენეტური**), სახელს მიეწერება ფრჩხილში ნათესაობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტერმინი კუმშვადი ან უკვეცელია, მაგალითად, **მევა** (**მევა-ვასი**), **შუქურა** (**შუქურასი**), **ღუმელი** (**ღუმლისა**), **ქსელი** (**ქსლისა**).

ლექსიკონში, ტრადიციისამებრ, სალექსიკონო ერთეულად წარმოდგენილი იქნება ერთსიტყვიანი ტერმინები. თუმცა, თუკი ერთი ცნების აღსანიშნავად ორი სხვადასხვაგვარად ნაწარმოები ტერმინი არსებობს, ლექსიკონში მითითებული იქნება პარალელური ვარიანტიც, მაგალითად, **ბეტონირება** || **დაბეტონება**; **ბეტონსარეველა** || **ბეტონსარევი**; **ბზვინვარება** || **ბზვინვა**. ამავე პრინციპით იქნება გაფორმებული ის სინონიმური წყვილები, რომელთა დაწერილობა მომხმარებლისთვის საორჭოფოა და დაზუსტებას მოითხოვს: **ნახევარგამტარი** || **ნახევრად გამტარი**, **წითლად მეტები** || **წითელმეტები** და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოების ერთი თავისებურება, როდესაც პარალელურ ფორმებს განსხვავებული სემანტიკური მნიშვნელობა ენიჭება, მაგალითად, **-გრაფი** და **-გრაფია**, **-მეტრი** და **-მეტრია** სუფიქსოდიანი არსებითი სახელებისაგან ნაწარმოებ ზედსართავთა აღრვეის შემთხვევები. ამგვარი ტერმინები ლექსიკონში ცალ-ცალკე ერთეულებად იქნება წარმოდგენილი, ხოლო ფრჩხილებში მიეთითება სინტაგმის წევრი, რომელიც მის მნიშვნელობას განსაზღვრავს: **კალორიმეტრული** (**ბომბი**), **კალორიმეტრიული** (**ანალიზი**), **ჰიდრომეტრული**

(ტრიალი), ჰიდრომეტრიული (გრადუსი), პოტენციომეტრული (ტიტვრა), პოტენციომეტრიული (ანალიზი) [ოსაძე 2016: 60-65].

ტერმინთა ორთოგრაფია მრავალი საკითხის გადაწყვეტას გულისხმობს. ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო და შესასწავლი უბანი ტერმინოლოგიაში პარონიმია. დღესდღეობით, საბედნიეროდ, უკვე არსებობს პარონიმთა ლექსიკონი, რომელშიც არაერთი ტერმინოლოგიური პარონიმია წარმოდგენილი. როგორ უნდა იყოს პარონიმები წარმოდგენილი ორთოგრაფიულ ლექსიკონში? მაგალითად, **კრიტიკული** და **კრიზისული**, **გენეტიკური** და **გენეზისური**, **მეაგე** და **მეაგა**, **ადსორბცია** და **აბსორბცია**. პარონიმული ტერმინების ზედსართაულ ფორმებს, ვფიქრობთ, ფრჩხილებში უნდა მიეთითოს შესიტყვება მნიშვნელობის გასამიჯნავად, მაგალითად, **კრიზისული (კრიზისული ტემპერატურა)**, **კრიტიკული (კრიტიკული წერილი)**, **გენეტიკური (გენეტიკური კოდი)**, **გენეზისური (გენეზისური კავშირი)**, **ადსორბციული (ადსორბციული გაწმენდა)**, **აბსორბციული (აბსორბციული დანადგარი)** [ოსაძე 2013: 165-169].

როგორც უკვე აღინიშნა, უცხო წარმომავლობის ტერმინთა მართლწერის არაერთი საკითხი დადგენილია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტერმინოლოგიურ ლექსიკონებსა თუ სამეცნიერო ენაში მაინც შეინიშნება **-იკ**, **-ალ**, **-იზ**, **-ირ** აფიქსიან უცხო წარმომავლობის ტერმინებიდან **-ურ** (**-ულ**) სუფიქსით ნაწარმოებ ზედსართავ სახელთა უმართებულოდ ხმარების შემთხვევები [ოსაძე 2016: 46-50, 103-117].

ყველაზე მეტად დარღვევები გვხვდება **-ალ** სუფიქსიანი ზედსართავების წარმოებისას. შეინიშნება ტენდენცია მათი უმართებულოდ ჩამოცილებისა. ეს ის შემთხვევებია, როდესაც მსესხებელ ენაში, ანუ ქართულში, **-ალ** სუფიქსიან სიტყვათა ამოსავალი ფუძე, რომელსაც **-ურ** (**-ულ**) სუფიქსი უნდა დაერთოს, მთლიანად ნასესხებია, როგორც ზედსართავი ფორმა და, მაშასადამე, ამგვარი წარმოებისას ზედსართავი ფორმები აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს უცხოენოვან **-ალ**-იან ფორმებს. ამგვარი უცხოენოვანი ზედსართავების ნორმა სპეციალისტებთან შეთანხმებით უნდა დაზუსტდეს, რომელია ამოსავალი ფუძე. დაუშვებელია **-ალ** სუფიქსის ჩამოშორება ზედსართავებში: **მუსიკალური**, **ოფიციალური**, **აქტუალური**, **ვიზუალური**, **ოპტიმალური**, **ვირტუალური**, **მენტალური**, ასევე დაუშვებელია **დორსული** (ნაცვლად **დორსალურისა**), **ვენტრული** (ნაცვლად **ვენტრალურისა**), **ორული** (ნაცვლად **ორალურისა**), **მენინგური**

(ნაცვლად **მენინგიალურისა**), **ცერებრული** (ნაცვლად **ცერებრალურისა**).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დასტურდება ტერმინთა პარალელური წარმოების შემთხვევები, მაგალითად: **ჰელიკოიდური** || **ჰელიკოიდალური**, **ფუნდამენტური** || **ფუნდამენტალური**, **ტეტრაგონური** || **ტეტრაგონალური**, **ფუნქციური** || **ფუნქციონალური**.

ამგვარი პარალელური ფორმების წარმოქმნის მიზეზი და სიჭრელე აიხსნება იმით, რომ ზოგჯერ ისინი უმართებულოდ იხმარება, ზოგჯერ კი მათ პარალელურ არსებობას, როგორც უკვე აღინიშნა, განაპირობებს ამოსავალი ფუძე, რომელიც ხან უსუფიქსოა, ხან კი –**ალ** სუფიქსიანი. ამდენად, პარალელური ფორმები სემანტიკურად განსხვავდება. მაგალითად, **ფუნქცია** → **ფუნქციური**, მაგრამ **ფუნქციონალი** → **ფუნქციონალური**, **ეკვატორი** → **ეკვატორული**, მაგრამ **ეკვატორიალი** → **ეკვატორიალური**, **პოტენცია** → **პოტენციური**, მაგრამ **პოტენციალი** → **პოტენციალური**...

ერთი და იმავე ფუძისაგან ტერმინთა წარმოებისას არ შეიძლება არსებობდეს პარალელური ფორმები – ერთ-ერთი შეიძლება არამართებული იყოს, ხოლო, თუ ორივე ფორმა სწორია, ის სხვადასხვა ფუძისაგან (სუფიქსიანი ან უსუფიქსო) იწარმოება და, შესაბამისად, სემანტიკურადაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგალითად, **ოკულური** მომდინარეობს **ოკულიდან** – **თვალის ბუდე**, ხოლო **ოკულარული**სთვის ამოსავალია **ოკულარი** – **თვალის ოპტიკური ხელსაწყო**. ასევე პარალელური ფორმები არ შეიძლება იყოს **ატრიული** და **ატრიალური**, რადგან ორივე ზედსართავი სხვადასხვა ტერმინიდან მომდინარეობს: **ატრია** → **ატრიული** და **ატრიალი** → **ატრიალური**. ამდენად, ამგვარი ტერმინები ტერმინთა ორთოგრაფიულ ლექსიკონში ცალ-ცალკე ერთეულად იქნება წარმოდგენილი.

არამართებულად გამოიყენება ასევე **-იკ** სუფიქსიანი უცხო წარმომავლობის ტერმინები. მაგალითად, **დინამიური** (ნაცვლად **დინამიკურისა**), **სინთეტური** (ნაცვლად **სინთეტიკურისა**), **ელასტიური** (ნაცვლად **ელასტიკურისა**), **სტაბილიზირებული** (ნაცვლად **სტაბილიზებულისა**), **სინქრონიზირებული** (ნაცვლად **სინქრონიზებულისა**), **ამორტიზირებული** (ნაცვლად **ამორტიზირებულისა**).

ტერმინთა სისტემაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს **სა-ე** და **სა-ო** აფიქსებით ნაწარმოებ ფორმებს. ენაში დასტურდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე ფუძეზე

სა-ე და სა-ო კონფიქსთა დართვისას სემანტიკურად განსხვავებული სახელები მიიღება, მაგალითად, სააბრეშუმე ადგილი – სააბრეშუმო იარაღი, საალბომე ქალაქი – საალბომო ფორმატი, სანაშენე მეურნეობა – სანაშენო საქონელი...

მიუხედავად იმისა, რომ დანიშნულების კონფიქსებს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა, ჯერ კიდევ დასაზუსტებელია მათი ფუნქციური და სტრუქტურული თავისებურებები. დაუშვებელია, როდესაც ერთი და იმავე ფუძისაგან ნაწარმოები **სა-ე** და **სა-ო** კონფიქსებიანი ტერმინები ჩაენაცვლება ერთმანეთს. ჩვეულებრივ, ენაში **სა-ე** და **სა-ო** კონფიქსები ერთსა და იმავე ფუძეს არ დაერთვის, მაგრამ იშვიათად მაინც დასტურდება ამ აფიქსებით ნაწარმოები იდენტური შინაარსის ტერმინები: **სანაღმე – სანაღმო, საგიზიტე – საგიზიტო, საკოქსე – საკოქსო...** ჩანს, რომ ამ ფორმების გამიჯვნა ჭირს. ასეთი დუბლეტების არსებობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ისინი სემანტიკურადაა განსხვავებული. ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაში სწორედ ეს თავისებურება იკვეთება. ფორმით განსხვავებულ ტერმინებს საკუთარი სემანტიკური მნიშვნელობა ენიჭება, მაგალითად, **სანომრე – номерник, სანომრო – номерный, სამოქლონე – заклепочный, სამოქლონო – клепальный, საყალიბე – формовочный, საყალიბო – ополуный, საჰაერე – поддувало, საჰაერო – воздушный** [დათეშიძე, ოსაძე 2009: 171-177].

ტერმინთა ორთოგრაფიულ ლექსიკონში გათვალისწინებული იქნება აგრეთვე რთული კონსტრუქციის უცხოენოვანი ტერმინები, როგორებიცაა: **მედიაბაზარი (Mediamarket), ბიზნესტექნოლოგია (BusinessTechnology), პრესცენტრი (presscenter)**, რომელთა ორთოგრაფიული ნორმა, მართალია, დადგენილია, მაგრამ პრესაში, სამეცნიერო ტექსტებსა თუ სპეციალურ ლიტერატურაში მათი დაწერილობა კვლავ აღრეულია [დათეშიძე 2007: 3-9].

ტერმინთა სისტემაში გამოიყოფა უცხო წარმომავლობის რთული სიტყვები, რომელთა მართლწერაც კიდევ მოითხოვს კვლევასა და დაზუსტებას. ესენია: აფიქსოდიანი ტერმინები, შემაერთებელხმოვნადანი რთული სიტყვები და ქართული და უცხოური ფუძით ნაწარმოები ჰიბრიდული ტერმინები. სამეცნიერო ენაში, პრესასა და ტერმინოლოგიაშიც კი ზოგჯერ ისინი უმართებულოდ იხმარება. მაგალითად, **რობოტოტექნიკა** (ნაცვლად **რობოტტექნიკისა**), **ტერმინო-ლემენტი** (ნაცვლად **ტერმინელემენტისა**), **რეზინოტექნიკა** (ნაცვლად

რეზინტექნიკისა), ასევე გაფორმდება ჰიბრიდული ტერმინები: **ლენ-ტმომმართველი, კოროზიამედეგი, ლიმონწყავა...** [ოსაძე 2016: 93-100].

ლექსიკონს ექნება აბრევიატურების დანართი, რომელთა მართლწერაც დღემდე სადავო საკითხად მიიჩნევა. გავითვალისწინებთ ყველა იმ ნორმას, რომლებიც უკვე დადგენილი და შემუშავებულია.

ამრიგად, ტერმინთა ორთოგრაფიული ლექსიკონის შექმნის აუცილებლობა განაპირობა იმ პრობლემებმა, რომლებიც წლების განმავლობაში გროვდებოდა ამ სფეროში.

მართალია, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი ეხმარება სამეცნიერო დარგის სპეციალისტებს, მოიძიონ ტერმინის დაწერილობა, მაგრამ, ბუნებრივია, მათთვის საჭირო ყველა ტერმინი შეუძლებელია სალიტერატურო ენის ლექსიკონში სრულად იყოს წარმოდგენილი.

ლიტერატურა

დათეშიძე 2006 – ნ. დათეშიძე, სინტაგმათა კომპრესიით მიღებულ ტერმინ-კომპოზიტების შესახებ ქართულში, საენათმეცნიერო ძიებანი, XXI, თბილისი.

დათეშიძე 2007 – ნ. დათეშიძე, რთული კონსტრუქციის ტერმინთა მართლწერისათვის ქართულში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2, თბილისი.

დათეშიძე, ოსაძე 2009 – ნ. დათეშიძე, მ. ოსაძე, დანიშნულების კონფიქსთა სიტყვამაწარმოებელი საშუალებანი ქართულ ტერმინოლოგიაში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, X, თბილისი.

დათეშიძე 2013 – ნ. დათეშიძე, აფიქსოიდთა სიტყვაწარმოებითი ფუნქციები ტერმინოლოგიაში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, XIII, თბილისი.

ზექალაშვილი 2009 – რ. ზექალაშვილი, ქართული ენა და საედიციონო ტერმინოლოგიის საკითხები, თბილისი.

ოსაძე 2014 – მ. ოსაძე, პარონიმის ერთი შემთხვევა ტერმინოლოგიაში (კრიზისული – კრიტიკული), ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, XIV, თბილისი.

ოსაძე 2016 – მ. ოსაძე, *გენეტიკური, გენეზისური და გენეტური* ფორმებისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, XVI, თბილისი.

ოსაძე 2016 – მ. ოსაძე, ტერმინთა სესხება-ადაპტაციის საკითხები ქართულ ენაში, თბილისი.

ოსაძე 2017 – მ. ოსაძე, *კომპოზიციური და კომპოზიტური* ფორმებისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, XVII, თბილისი.

ღამბაშიძე 1986 – რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები.

Nino Dateshidze, Marine Osadze

On the Orthographic Dictionary of Terms

Summary

The paper discusses the orthographic problems of terms. The essential prerequisite of solving them will be the compilation of the orthographic dictionary of terms. It will be based on linguistic studies and the norms adopted as a result of processing separate terminological issues.

The dictionary will contain a number of technical, scientific and humanitarian terms the orthography of which is still indefinite in the scientific literature, press and specialized dictionaries despite the orthographic norms that have already been adopted. We think that the orthographic dictionary of terms will solve the problem of variegation in the terminological system.